129

კვირა. 4 დეკემბერი 1927 წ. № 128 ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

## „მონადირე“

ინგლისის ხელისშეწყობით და წაქეზებით პოლო-
ნეთს უნდა მიაღწიოს თავის დიდიხნის მიზანს—დაიპყროს
ლიტვა და მოსპოს მისი დამოუკიდებლობა. ამის გამო ლი-
ტვამ საპროტესტო ნოტით მიმართა ერთა ლიგას.
(გაზეთებიდან).




მონადირე—ჩემბერლენი (თავის მწევარს — პილ სუდსკის):— დარდიც ნუ გაქვს,— ვერსად ვერ გაგექცევა! ხედავ საითკენ გარბის თავშესაფარათ?! იქ უარესი დღე დაადგება!

F-924

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯირითი

დიდი ხანია, რაც აფრასიონს ვიცნობ. გულწრფელი, მუყაითი და ენერგიული მუშაკია.

მგონია ადამი არც კი იყო ხეპრიანად დაბადებული, რომ აფრასიონი ერთ-ერთ ჩვენ დაწესებულებაში მიიღეს ზავხოზის თანაშემწეთ.

აფრასიონის ხასიათი ვიცოდი, იგი თანამდებობის ვიწრო პატრიოტი იყო და ყოველ თანამდებობაზე მაღლა ზავხოზობას აყენებდა.

— ერთი შენც! რა თანამდებობაა ზავხოზობა? მოურავი ხარ, მეტი არაფერი!—გავაჯავრე ერთხელ აფრასიონი.

იგი საშინლად აღელდა.

— რა იცის გოჭმა ხურმა რა ფრუქტია! — მიპასუხა გაჯავრებით და თან დაუმატა: — მე არას ვამბობ ჯამაგირზე და გამოსარჩენზე... მარტო ის წარმოიდგინე, რომ მთელი დაწესებულების ფაქტიური ხაზეინი შენა ხარ...

— მართლაც რა დიდებული ხელობაა ეს ზავხოზობა! —ჩამოუგდე სიტყვა აფრასიონს ერთი თვის შემდეგ.

— კარგი თუ ძმა ხარ! მაგაზე უარესი ხელობა ჩემ დღეში არ მინახავს! ზავხოზათ დადგომას არც კი ვიკადრებ.—ტუჩების აპრუწვით მითხრა მან.

— როგორ? შენ ხომ ზავხოზი ხარ?

— ვიყავი, შეცდომით... ეს არ არის ჩემი მოწოდება! მე ახლა საქმის-მწარმოებელი გახლავარ.

— რატომ?

— **ახალი გამგე მოვიდა** და საქმის წარმოებაზე დამსვა. ვენაცვალე ყანყრატოში... კაცის ცნობა სცოდნია!

— საქმის მწარმოებლობაც ხელობაა?

— ჰმ!—აღშფოთდა აფრასიონი.—რას ამბობ თუ იცი? საქმის მწარმოებლობა ლიტერატორობას უდრის. იქაც მწერლობაა და აქაც. მარტო ერთი მიმართვა რად ღირს: „ამასთანავე გაახლებთ რა დანართს, გთხოვთ“..

— სიცოცხლე საქმის მწარმოებელს! — შევძახე აფრასიონს კიდევ ერთი თვის გასვლის შემდეგ.

— უკაცრავად ბრძანდები! საქმის მწარმოებელიც ხარ და მეტიც... ვის უბედავ თუ იცი მაგ შეურაცხყოფას?!

— როგორ კაცო?

— როგორ და მე საქმის მწარმოებლობას თავიდანვე უარყოფითად უყურებ.

— თანამდებობა ხომ არ გამოგიცვლია?

— მაშ არა და!

— რატომ?

— **კიდევ მოვიდა ახალი გამგე** და სხვა ადგილზე გადამიყვანა.

— რა ადგილია?

— ადგილიო? ადგილი კი არა შოკოლადია!

— არა, თუ ძმა ხარ?

— დიაღ, დიაღ!მოლარეობა ხუმრობა არ გეგონოს! სალაროს გამგეც მე ვარ, ბატონი და პატრონიც. თანამშრომლები ძმასავით მიყურებენ... ჯამაგირის დარიგების დროს ხომ სულ თაფლი გადმოსდით პირიდან. არა ძმაო, მე მოლარეობას აღარ დავთმობ...

ნაცნობ ქალს მივყვებოდი. გზაზე აფრასიონი გადაგვეყარა.

— გაიცანით, მოლარე აფრასიონ ჯალალანია!

— აფრასიონმა ქალს ხელი ჩამოართვა და წყრომით გადმომხედა.

— რის მოლარე კაცო? მოლარე კიარა მთავარი ბუხგალტერი ვარ! რას ატყუებ ამ მანდილოსანს?

— როგორ, კიდევ გამოიცვალე ადგილი?

— მე კი არა. გამგემ გამომცვალა.

— ახალი მოვიდა თუ?

— ვითომ არ იცი! **ერთი კვირაა, რაც კიდევ ახალი გამგე დადგა.**

— მერე როგორ დათანხმდი ბუხგალტერობაზე?

— ჰმ! ერიჰაა! ერთი ამას უყურეთ? შე კაი კაცო, ჩემი საოცნებო საგანი სწორედ ბუხგალტერობა იყო და მაგისთანა ადგილს გაუშვებდი ხელიდან? ჩემ სიცოცხლეში ვერ მოვშორდები ბუხგალტერიას...

— სელამ ალექუმ ბუხგალტერ ჯან! — შევეხუმრე აფრასიონს ერთი თვის შემდეგ.

— ბუხგალტერიც ხარ და მეტიც. ვის უბედავ თუ იცი!..

—კარგი თუ ძმა ხარ! აკი ვერ შეველევიო!?.

— შეველევი კი არა ის არ გინდა? მაგისთანა პროფესიას მტერსაც არ უსურვებ. რომ არ გადავეყვანე, მე თითონ გადავიდოდი...

— **მაშ კიდევ მოსულა სხვა გამგე?**

— მოვიდა მაშ? მოვიდა და საქმეთა მმართველად დამნიშნა. ვენაცვალე სულში, კაცი მაგი ყოფილა. მრავალჯერ მითქვამს შენთვისაც, რომ საქმეთა მმართველობა ყოველთვის იყო ჩემი იდეალი. ბუხგალტერობა კი შენთვის დამილოცნია...

სრული ნახევარი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აფრასიონი დანიშნეს საქმეთა მმართველად. მე იგი ბედნიერ კაცად მიმაჩნდა, რადგანაც როგორც იქნა მიაღწია თავის იდეალს — საქმეთა მმართველობას.

— როგორ არის შენი საქმე, როგორც საქმეთა მმართველის? — შევეკითხე აფრასიონს.

მან მედიდურად გაიღიმა და ზევიდან გადმომხედა:

— ნუ თუ გგონია, რომ ვიღაც საქმეთა მმართველთან გაქვს საქმე?

— მაშ?

— „ის აღარა ვარ, რაც ვიყავი“... ჩაიღიღინა მან და დაუმატა:—ხომ არ გინდა მანქანით გავისეირნოთ?

— მინდა, მაგრამ სად არის მანქანა?

ხუთიოდე წუთის შემდეგ „ფიატში“ ვიჯექით და მივქროდით.

— სულ სამი დღე არ იქნება, რაც ახალთ-ახალი გამგე დაგვინიშნეს, — მიამბობდა აფრასიონი. — ღმერთმა აცხონოს მაგის მამის სული. ხომ იცი, როგორ ჭირივით მეჯავრებოდა საქმეთა მმართველობა. ახალი გამგე მიმიხვდა, გაიგო ჩემი გონებრივი შესაძლებლობანი თავის პატენციებითურთ და თავის თანაშემწედ ამიყვანა. მართალია, მას „მერსედესის“ ფირმის ავტო ყავს და მე მხოლოდ „ფიატი“ დამითმო, მაგრამ ამისათვისაც მადლობელი ვარ. მე და ეს „ფიატიც“ კარგად გავატარებთ დროს.

— მაშ შენ კარგად აწეულხარ!

— დიაღ, ავიწიე პადიომში. და უნდა იცოდე, რომ ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. ახალ-ახალ გამგეებს მე შესაფერად მიუდექი... ხომ იცი მიდგომაა საქმე. მათაც გაიგეს ჩემი დიდ-ბუნებრივანება და ახლა ჩემთვის საკადრისი პოსტი მიჭირავს. პირდაპირ მიკვირს, როგორ ვძლებდი რომელიმე ზავხოზათ, ან მოლარეთ, ან თუნდაც საქმეთა მმართველად. მე დაბადებული ვარ გამგეთ და ამას მივაღწევ კიდეც...

გავიდა 3 თვე.

— აფრასიონს სალამი! როგორ ხარ, რატომ ქვეითად დადიხარ, „ფიატი“ მოგძულდა განა?

— მომძულდა, გარწმუნებ.

— რატომ?

— ისე,—გულს უფუჭებს კაცს.

— რას შვრება შენი გამგე?

— რომელი?

— აი ის... თანაშემწედ რომ დაგნიშნა.

— ის... გადაიყვანეს. სხვა დანიშნეს!

— მერე, შენ?

— მე-ე? მე თავი დავანებე თანამშრომლობას და უფრო მოსვენებული ადგილი მოვნახე.

— რა ადგილი თუ ძმა ხარ?

— ეჰ! თქმად არ ღირს... მომეცი ერთი პაპიროსი.

— მაინც, მაინც?

— რეგისტრატორად დამნიშნეს... ჩაილუღლუღა მან და დაუმატა: — თუ ძმა ხარ, ერთი ცეცხლიც მომიკიდე ამ პაპიროსზე... თუმცაღა, რაღა ცეცხლის მოკიდება უნდა ახლა ჩემ გულს.

**ალლარ-სალლარხან**

# ლიტვა

ლიტვამა სთქვა: ჩემთვის ვზივარ, პატარა
ვარ სხვებზედაო;
თუმცა ერთი მეზობელი, რომელიც მყავს გვერდზედაო,
თავიდანვე მტრულათ მიცქერს — კბილს ილესავს
ჩემზედაო,—
მაგრამ საბაბს მე არ მივსცემ, რომ დამეცეს თავზედაო.
გავიხედე განზედაო,—პილუდსკი ზის ტანკზედაო;
წინ ზარბაზნები მიუძღვის გასასროლათ ჩემზედაო.
ვიღაც ჩემზე უსისინებს, იქ, რომ მოსჩანს გემზედაო;
ვხედავ რომ აქვს შუშაბანდი მას მარცხენა თვალზედაო.

თავის-თავის გადარჩენას ვფიქრობ ერთა ლიგაში.
ეგებ იქა პილსუდსკიმა ხმალი ჩასდოს ქარქაშშიო;
შეგვარიგონ და მოგვართვან გემრიელი ჩვენ ქაშიო,
გადავკოცნოთ ერთმანეთი და დაგვიკრან მათ ტაშიო.
მაგრამ, ვაი, ტყვილა ვფიქრობ გადარჩენას ლიგაშიო.
კარგად ვიცი: ჩემბერლენმა მოამზადა რაც ქაშიო. ,
პოლონეთი თუ შემყლაპავს,—გაისმება იქ ტაშიო,
და შემდეგ კი მართლაც ჩასდებს ხმალს პილსუდსკი
ქარქაშშიო.

**ენუქი.**

# მოლიპულ გზაზე




**ტარტაროზი** (ოპოზიციას):—ჰააა! აი აგრე იცის თავაშვებულებამ და ყინულზე ცურაობამ!

# „რეზოლიუცია“

(აზრი ნასესხებია)

— ჩვენს სოფელში ერთდროს ძალიან კარგათ მიდიოდა განათლების საქმე, ეხლა კი ყველამ დაივიწყა, სრულებით არარაფერი არ კეთდება.

— რა მიზეზია?

— მიზეზი რეზოლიუციააა

— როგორ?

— როგორ და ასე: ჩვენი სოფლის საბჭოს თავმჯდომარეთ გვყავს კოსტა ცენტერაძე. ამ კაცს თავისათვის საკმარისი ცოდნა და გამოცდილება აქვს. ყოჩაღი და მოხერხებულია, ცეცხლში არ იხრჩვება და წყალში არ იწვება. მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს,—რეზოლიუციებისთვის გადარეულია, ერთ ამ ლობიოს ისე არ შესჭამს, თუ რეზოლიუცია არ გამოიტანა. უეჭველად აიღებს კოვზს და მოსადილეთ მიმართავს:

— ვინაიდან ლობიო უმთავრესად ღარიბი ხალხის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, ამიტომ მას გამოეცხადოს მადლობა. ვინ არის წინააღმდეგი.

— ასე იცის ყოველთვის. განათლების საქმეც ამავე მიზეზით დაღუპა. საქმე ასე იყო: ჩვენ სოფელში გვყავდა მასწავლებელი ღარიბაშვილი. მან გადასწყვიტა სოფლის განათლება და ამ მიზნით ადგილობრივ სამკითხველოში გვიმართავდა საუბრებს. პირველათ იქიდან დაიწყო, თუ დედამიწა როგორ უვლის მზეს გარშემო. ისე დაბეჯითებით და გასაგებათ ლაპარაკობდა, რომ მის საწინააღმდეგო ხმა ვერავინ დაძრა. ოთხმოცი წლის მოხუცებულებსაც კი ჭკვაში დაუჯდათ მისი საუბარი. მაგრამ ამ დროს გამოვიდა საბჭოს თავმჯდომარე ცენტერაძე და განაცხადა:

— წინადადება შემომაქვს დედამიწის მზის გარშემო ტრიალი ჩაითვალოს დამაკამყოფილებლად და ერთხმათ იქმნას დამტკიცებული. ვინ არის წინააღმდეგი.

აირია მონასტერი. ზოგი წინააღმდეგი იყო, ზოგი მომხრე, ხალხი აჩოჩქოლდა და კინაღამ ერთმანეთში არ დაირივნენ საჩხუბრად.

ცოტა რომ მიწყნარდა, ისევ ცენტერაძემ დაიწყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უთანხმოების გამო ჩემი წინადადება არის—ეს საკითხი საბჭოს გადავცეთ დასამტკიცებლად და ყოველ შემთხვევისთვის ავირჩიოთ სარევიზიო კომისია.

ამაზე დათანხმდენ, თუმცა თითოოროლა კულაკი მაინც წინაალმდეგი იყო.

ასე გრძელდებოდა ყველა საუბარი, რაც ბოლოს ჩხუბით და დავიდარაბით თავდებოდა.

მასაწვლებელი ეხვეწებოდა—საჭირო არ არის რეზოლიუციაო, მაგრამ მას ვერაფერი შეასმინა.

მასაწვლებელი იძულებული გახდა შეეწყვიტა საუბრები. აღარც ხალხი დადიოდა.

ერთ დღესაც მაზრიდან გვეწვია ექიმი და მოაწყო საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ და საიდან ჩნდება ავადმყოფობა.

ექიმს ჯერ კიდევ არ დაემთავრებია საუბარი, რომ ცენტერაძე გამოვარდა თავისი რეზოლიუციით:

— წინადადება შემომაქვს მუშურგლეხური ზიზღი გამოეცხადოს კუჭის მოშლას, სასტიკი საყვედური—ხოლერას და მიღებულ იქნეს ზომები გულის სიგანივრის წინაალმდეგ...

— ასეთი ახირებული კაცია ჩვენი საბჭოს თავმჯდომარე. აღარც ცოლი უდგება სახლში —ეყრება. საწყალი ლედაკაცი, თავისი რეზოლიუციებით დააჭლექა.

წრუწუნა.

## „დედა-ენა“ (ენის ამოდგმა)




ო, დიდება შენ, ჩემო ნუგეშო, ჩემო ზაჰესო.
ვდგევარ და შენ შემოგცქერი; თავი ბუზებით ამევსო.
რა არ დავსწერე შენზედა; ფესვები მაგრა გიდგია....
შენ შემოგევლე, საუნჯევ, შენით მე სული მიდგია...

## უცხოელ მწერლების „სმიჩკა“ ქართველ მწერლებთან

### (ბანკეტის სტენოგრაფიული (მეგოგრული) ანგარიში).

„ტარაროზი“-ს რედაქციამ თავისი გამოცდილი რეპორტიორის საშუალებით შესძლო ხელთ ჩაეგდო ქართველ მწერალთა მიერ უცხოელ მწერლების საპატივცემოთ გამართულ ბანკეტის სტენოგრაფიული ანგარიში. სტენოგრამა დაწერილია მწერალ ცქვიტის მიერ და შესწორებულია ნიკოლოს საკუთარი ხელით.

**პაოლო იაშვილი:**—ამხანაგო პოეტებო და მწერლებო! მე ბედნიერების სიაში მინდა ჩავეწერო, რადგანაც დღეს საშუალება მაქვს შევხვდე ჩემს უცხოელ კოლეგებს ამ პურლვინით სავსე სუფრაზე. გთხოვთ ამირჩიოთ თამადათ!

**ლელი** (მამრობითი სქესისაა):—თუ პაოლოს თამადათ ირჩევთ, მე მისი თანაშემწეობა მომეცით. საზოგადოთ მოცემულზე არასოდეს არ ვამბობ უარს. ღვინის სმა, მართალია, ცოტა ვიცი, მაგრამ, სამაგიეროთ, ჭამა მეხერხება; ვიცი ცოტ-ცოტა ფრანგული და მაქვს ცხვირი რომაულ ყაიდაზე ჩამოქნილი. ეს ამტკიცებს ჩემს კაი გვარიშვილობას.

**გრიგოლ რობაქიძე:**—ცხელია საქართველოს მზე და მცხუნვარეა ალერსი ლამაზი ქალისა. მიყვარს გაშხვლართული სიტყვები: ჰანზენკლევერ, ლამარა და გველის პერანგი.

**ტერენტი გრანელი:**—ვისა აქვს პერანგი აჰ?! (იძრობს პალტოს შიშველ ტანზე. ჰგონია პერანგს აძლევენ).

**გრიგოლი** (განაგრძობს):—გერმანიაში მე გადავრიე ყველა მწერლები. სტეფან ცვაიგი—ქართული სისხლის მოტროფიალეა... გველის პერანგი და მალშტრემი. ეს მოვარდნაა: ქარის, მზის, ვნების.. არგუმენტაცია შეიძლება: ფოთლები მიწაზე, გვალვა მსოფლიოში და წვა მოკლე ტაბებით. ევროპაში ძიებაა....

**ნიკოლო:**—ღმერთი ჩემს გაჩენას დააქცევს! ქე, ქე ვეძებე ბარე სამი წელიწადი, მარა მე იქინე ვერაფელი ვიპოვე.

**უცხოელი მწერლები:**— გაკვირვებული არიან და თითქოს მორცხვად იძახიან:—**„ვივ ლა, პოეზი ჟორჟიენ“.**

**გიორგი ქუჩიშვილი:**— ქორჟიკები თითონ თქვენა ხართ!

**მე ვარ პოეტი ქუჩის,**
**არეფერი მწამს ტუჩის;**
**ლექსს არ უწერდი ნინოს**
**მე ვენაცვალე ღვინოს.**

**პ. სამსონიძე:**—თუ ლექსებზეა საქმე, წამაკითხეთ ჩემი პოემა: ბევრი, ბევრი დავსჭირდე 5 საათი.

**ვაკელი:**—ჩემს პოემებს სხვაგან არ კითხულობენ და აქ მაინც წამაკითხეთ. სულ 700 ფურცელია.

**რაჟდენი** (ყოფილი მესია):

**მამა ჩემი მუშაა მიწის,**
**მას არ ვახარებ მე როგორც შვილი,**
**გადამეკიდა რწყვილი ცოლ-შვილი,**
**ეხ, ტრაღედია ჩემი ვინ იცის.**
**მე მინდა ისევ ვირებზე ვსწერო**
**რათ აღარ მომწონს*) ის ანგელოსი**

---

*) ხელს ერთი მანდილოსანისაკენ იშვერს.

# „развод“

ალმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებამ უცხოეთიდან გამოიწერა ჯიშიანი მამლები.

ქრონიკიდან.



**დედლები** (შინაურ მამალს):— **ჩვენ ალმასკომმა საქმროები უცხოეთიდან გამოგვიწერა... ამიერიდან ფრთხილათ, ყმაწვილო..: ახლოსაც არ გაგვეკარო... არაფრად გვაგდებდი, მაგრამ აწი დაგვაფასებ... აი, შენ ქათინაურებზე ჩვენი პასუხი—სამი ბრჭყალის კომბინაცია!**

**ვიცი ქრონიკა, როგორ გავბერო,**
**ასჯერ ჩავაგდე მწვანე „მდელოსი“.**

**ხმა ადგილებიდან:**—„ კმარა რაჟდენი, როგორც ასეთი“! (რაჟდენი ჩამოდის და მიუჯდება ბოთლს).

**პაოლო:**—მე ვსვამ სადღეგრძელოს (ცოტა მოსვით, ბიჭებო ასეთია წესი!)... ვადღეგრძელებ იაპონიის მზეს—ბატონ აკიტოს, ბერძნების თანამედროვე ჰომეროსს— ბატონ ასაკაზანტუს, ჰელენ შტეკერს, კოსკო მანტალდოს—ურაგვაიდან მოვარდნილ ვეფხვს და ჟიულ მონრიოს— ბელგიის ვექილების მშვენებას. მე სხვებსაც ვადღეგრძელებ (შანშიაშვილი სცლის ჭიქას და ისხამს მეოთხედ; ცეცხლაძე ტუჩებს აცმაცუნებს; ვ. გაფრინდაშვილი იბღვირება, ფაშალიშვილი არსად სჩანს).... ახლა სიტყვას ვიწყებ ფრანგულათ.:::

**ს. აბაშელი:**—ღმერთო, მოუმართე პაოლოს ხელი პაოლოს):—პაოლო, შესდექი, თორემ მოგდაგამ გამოსწურე ბოთლები... (პაოლო არ სდგება. სტუმრებმა ვერ მოიცალეს საჭმელად, ტერენტის შეხედვამ ყველას მადა დაუკარგა. უცხოელებმა მუშტი-კრივის კაცად მიიჩნიეს. გალაქტიონი და ერიდებიან. გალაქტიონი ამას პირადი პოეზიის პატივისცემად ღებულობს და ვეღარ ითმენს, რომ არ სთქვას ლექსი:

**„იშკილიდან დავარდნილს ცრემლი დამედინება,**
**ძახილით გალაქტიონ რა ძნელია მიგნება,**
**იქ, სადაც ბოთლებია, შემიძლია გინება,**
**ეფემერულათ ვიცი ხანდიხან გალიმება“.,**

(გრიგოლ რობაქიძე იწყებს სიტყვას. გოგლა ლეონიძეს უნდა სიტყვის თქმა. პაოლო წინააღმდეგია. (დგება ნიკოლო მიწიშვილი).

**პაოლო ადგილიდან:**—კოლია, შედექი სკამზე. შუ მოგვჭერი თავი!

**ისმის რეპლიკა:**—ეპოპეიასა ვსწერ და მეშინია გადმოვარდნის რომ დავიმტვრე..

**ლისაშვილი:**—მეც პოეტი ვარ!

**სამსონიძე:**—პოეტი ქე ვარ მარა, ცოლი არა მყავს!

**ცეცხლაძე:**

**საქართველოში ღმერთი არ არის**
**ჩვენ არ გვფარავენ ანგელოსები.**

**ხმა ადგილიდან:**—ანგელოზები შენ თავში გყავს?

**ცეცხლაძე** (სიბრაზით):— თავში არაფერიც არა მაქვს.

დარბაზში კვლავ ალიაქოთი სდგება. დელეგაციის წევრები წასასვლელად ემზადებიან. მასპინძელი პოეტები მათ ურიგებენ თავიანთ კრებულებს. სტუმრები იძლევიან საკუთარ მისამართებს. ნაჩუქარი კრებულების სადგურზე წასაღებათ გამოიძახეს საბარგო ავტომობილი.

გამომშვიდობება სადგურზე თავდება ცრემლებით.

—ტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოგლიგაცია

## „სცენა ოჯახში“

მომხსენებელმა გააშუქა ინდუსტრიალიგაციის სესხის მიზანი, გაგვაცნო მისი მოგების პირობები, გათამაშების დრო, ვადა და სხვა.

ყველანი აღფრთოვანებით შეხვდებით, კრების შემდეგ, ჩემ ოჯახის წევრებში, მე თვითონ გავაკეთე ამ საკითხზე მოხსენება.

აქაც აღტაცება და საერთო სურვილი. (ჩემ ცოლს ძალიან უყვარს მომგებიან აკითხზე საუბარი). ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია: ობლიგაციის შეძენის შესახებ.

—:—

ჩემ ოჯახის წევრებს ათასნაირი ფიქრები უტრიალებს თავში. დიდი და პატარა ცალ-ცალკე მსჯელობს ოჯახი მენშევიკების დამფუძნებელ კრებას დაემსგავსა

— ერთხელ და უკანასკნელად გთხოვთ: მოსპეთ ამის ირგვლივ კამათი. ჯერ მოვიგოთ, შემდეგ ვიმსჯელოთ, თუ რაზე მოვიხმაროთ. მომისმინეთ, ძილი მინდა, თორემ ხვალ სამსახურში ფეხზე ჩამომეძინება და იქედანაც ამომაპანღურებენ!— ვეუბნები მე, მაგრამ ვის ესმის შენი ვედრება.

— ამხანაგო, რა ნომერია შენი ობლიგაცია?—მეკითხება ვალიკო.

რათ გინდა?

— ეგებ პირველ გათამაშებიდან გერგო რამე!

— როგორ? „უკვე გაზეთებშია გამოცხადებული?! —ჩემ სიხარულს საზღვარი დაეკარგა.

გადავქექე გაზეთები. ჩემ ობლიგაციის ნომერს არ ეთანხმება, — მაგრამ ახლობელი კია.

შევადარე ნომრები; ჩემი ცოლის ობლიგაციას მოუგია. ჩემმა ცოლმა კი ჯერ არაფერი იცის. შევცვალე ფურცლები; მინდა მე ვიყო ამ ფულის მფლობელი, თორემ ცოლი უთავბოლოდ გამოჭამს. შიშით ვერავის ვაგებინებ... ხუმრობაა? 25.000 მანეთის მოგება. მისი ერთბაშად აწევა. როგორ გამოვიტანო? ან როგორ წამოვიღო? სად წავიღო? ვის მივაბარო? გარეგან ყაჩაღებს რომ გადავურჩე, შინაურები წამართმევენ?—თავში ათასი ჭია-ღუა დატრიალდა; ტვინი ამერია, უცებ ცრემლ - ნარევ სიცილი წამსკდა და ზედმეტი სიხარულით კინაღამ ქვის კროლა დავიწყე.

მივარდი მილიციის უფროსთან, მინდა წინასწარ შევატყობინო, რომ თავზე არ დამეცენ.

მივედი ბანკში, დავთვალე ჩემი სიცოცხლის ვარსკვლავები (ჩერვონცები). წამოვედი.

შემომესმა გულის მოსაკლავი ხმა, მე წავიქეცი.

— დაუკავეთ ფული!—ისმის ხმა.—ეს ფული მისი ცოლის ობლიგაციამ მოიგო და მას კი სურს მიითვისოს! მოვსულიერდი. მილიციის კომისარია, დაველრიჭე.

შემოვარდა ჩემი ცოლი. შემხედა. შემომკივლა, ცალი ხელი თმაში დამავლო, მეორეთი ჩერვონცებს იყრის უბეში. მომივიდა ბრაზი. გევიქნიე წიხლი და...

— ვაიმე — დაიკვნესა ცოლმა!—შე მიწა დასაყრელო, ეს წიხლები რომ დამირთე, რა ქათმის ჭირმა მოგიარა? საბანს და ლებს სარჩული რომ აღარ შეარჩინე და ბამბები რია-რია წეიღე, რას იხურავ ხვალ?—მისაყვედურებდა გამოღვიძებული ცოლი.

მოვმართე ჩემი დიპლომატიური არღანი და მოვუყევი (ობლიგაციის მოგების) სიზმრის შინაარსი.

კოსტაიდი.

# ეწერ-გაშა

ანგური და ქვაო, რავქნა ბიჭო რაო?
ერთხელ კიდე გადავსწყვიტე მოკლე ლექსის თქმაო;
სიზმრათ ვნახე ბაშის თემში, კოპიტნარის გზაო;
სამი ვერსის სიშორეზე არსად გდია ქვაო.
სადგურიდან, რომ გახედავ გული წაგივაო,
ცოტა ნაწვიმარიც თუა — გეგონებათ ზღვაო.
თუ ცოლ-შვილი ბაშში გყავს და ცხოვრობ სხვაგანაო.
არასოდეს არ იფიქრო იმათი ნახვაო.

ა. ეწერ-ბაშელი.

# ქუთაისი ღამით

ვსეირნობთ ღამის ორ საათზე. ნაზი წყვილები;
ჩემს გვერდით ქალი იღიმება, ნაზათ ტიტინებს.
ელექტრო-შუქზე უბრწყინავენ ოქროს კბილები
და ცალი თვალით კანდიტერის ზვერავს ვიტრინებს.

—:—

მილიციელი ხვრინავს, პირში „სვისტოკი“ უდევს;
ხვრინავს და „სვისტოკს“ არაკრაკებს ვით სალამური;
მათი „ტეხნიკა“ კარგათ ესმის აქაურ ქურდებს
ქურჩებს ეფრქვევა სიბინძურე, „სუნ-საამური“.

—:—

ფეხსაცმელების სახელოსნოს, ჩაუვლით გვერდით.
დახურულია დარაბები, გვესმის კაკუნი.
—„ჩვენ შრომა გვიყვარს მეგობრებო, ჩვენ შრომას ვეტრფით“.
ეს შრომა გახლავთ ძველებური, მამაპაპური.

—:—

შრომის ინსპექტორს ვინ მოუთხრობს, ნეტა, ამ ამბავს.
ან პროფკავშირი კაკუნს ნეტავ მოისმენს როდის?
მათ ტკბილათ სძინავთ, ამ ამბისთვის მათ ვინ დაძრახავს,
მათ არ სურთ განგებ გაგონებ ამგვარ აკორდის

—:—

უეცრივ ჩქარა ელექტრონი, დაბნელდა ირგვლივ;
(ასე ხომ ხშირათ „გვაჯილდოებს“ ჩვენ ელ-სადგური)
მე რა მაწუხებს ქალთან უფრო თამამათ ვივლი
მიყვარს ღამეში ნაზ ქალწულთან ხელის ფათური.

„ძველი ბიჭი.




**ცოლი** (უმუშევარ ქმარს):— ახალი რა სწერია გაზეთში?

**ქმარი**:—ერთ დაწესებულებაში სამ კაცს მოუწამლავს თავი!

**ცოლი**:—შე საცოდავო, თუ რამე გეშველა, აი ეხლა უნდა გეშველოს—ერთ-ერთის ადგილზე კი მიგიღებენ!

**ქმარი**:—ტყვილა გგონია,—იმ დაწესებულებაში არც მამიდაშვილი მყავს და არც დეიდაშვილი!

# ხ ა თ ა



**გეურქა:**—ამისანა სიცოცხლეს კი რა ვუთხრა! ტფუუ!

**მილიციელი:**—მოქალაქევ, ათი შაური ჩამოდე გამოფურთხებისათვის!

**გეურქა:**—ვაჰხ! ამისანა ხათა გინახამთ? კაცმა თავის ბედს საყვედური ვერ უთხრა და ვერ წააფურთხოჴ!

# ა ს ე ც ხ დ ე ბ ა

(გომბორის თემის მილიციის უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა მოქ. გ. შინჯიკაშვილი, ღმერთმა აცხონოს ამჟამად საპატიმროში განისვენებს. გაზეთებიდან.

წყალგაღმელმა მეღორეებმა დაკლეს ღორი, მწვადები ააშიშხინეს და ღვინოც მოუნდათ.

— რა ვქნათ ბიჭო, იგრე მინდა ღვინო, ლამის...

— მეც იგრე მინდა, რო...

— მეც... გაისმა ყველა მხრიდან.

— მოდი ძურწია გავგზავნოთ.

— სადა?

— ღვინოზე.

— აბა აქ ღვინო ვის ექნება ამ ქალაში და სოფელიც შორს არის.

— თუ კაცს ღვინო უნდა, ციმბირიც ახლო მოეჩვენება. კაი მყუდრო ღამეა.სწორედ საქურდაო ღამეა. ხოზზას მარანი კარგა მოშორებით არი სოფლიდან. გავგზავნოთ ვინმე და ჩამოიტანოს.

ამოირჩიეს ძურწია.

ძურწია წავიდა.

წყალგამოღმელმა მეღორეებმაც დაკლეს ღორი. იმათაც აშიშხინეს მთელი დღე მწვადები და იმათაც მოუნდათ ღვინო. იმათაც ამოირჩიეს კურკაჭა ღვინის მოსატანათ ხოზას მარნიდან.

ღამეა.

იგეთი ღამეა, რო დედამიწა კუპრის ზღვასა ჰგავს.

გზები ყველგან დაკარგულია.

მიდის ძურწია. ხელში კოკა უჭირავს.

კარგა მოშორებით მას უკან მისდევს კურკაჭა.

იმასაც კოკა უჭირავს.

ძურწიამ არ იცის, რო მას უკან მისდევს კურკაჭა ხოზას მარნიდან ღვინის წასაღებად, არც კურკაჭამ იცის, რომ იმაზე წინ მიდის ძურწია ხოზას მარნიდან ღვინის წასაღებად.

ძურწია მივიდა მარანთან.

კარგა ხანს ზვერა იქაურობა და ბოლოს დარწმუნდა რომ პატრონი იქ არ არის. გადასწია კლიტეს და

— ჩახ!

მზად არის, შევიდა.

ქვევრებს მოუცაცუნა ხელი

ამდროს მოისმა ფეხის ხმა.

გამოვარდა გარედ და ცის იერზე კაცს მოჰკრა თვალი.

— პატრონია — იფიქრა — სულ ერთია ის დამარტყავს. მოდი ისევ მე დავასწრებ—და წამოავლო ჭიგოს ხელი. ის—ის იყო უნდა დაერტყა თავში ძურწიას, რო უცნობმა წამოიძახა:

— არ დამარტყა კაცო, მეც ქურდი ვარ!

— კურკაჭ, შენა ხარ?

— ძურწი შენა ხარ?—

— მე ვარ. კინაღამ თავი არ გამაჩეხინე.

— რა გინდა აქა?

— ღვინო.

— მეც ღვინო მინდა!—და უჩვენეს ერთმანეთს კოკები.

ძმურად შევიდნენ მარანში, ჩურჩულით მოუცაცუნეს ხელი ქვევრებს. იპოვნეს. ფრთხილად მოჰხადეს. ამდროს ვიღაცამ გატეხა გარეთ ღობე.

— კურკაჭ, ვიღაცა მოდის, ისიც ქურდი უნდა იყოს.

— შენ რაიცი, რო ქურდი უნდა იყოს.

— პატრონი ვენახში კარებიდან შემოვიდოდა, იმან კი ღობე გატეხა. ისიც აქ მოდის. მივიმალნეთ!—და გაცვივდნენ ორივენი გარეთ.

ის ვიღაცა მივიდა მარანთან.

— ჰმ! კარები ღიაა—სთქვა მისულმა მარანთან — ალბად ღვინო არ არის ამ მარანში.

— ვინა ხართ კაცო, მანდა!—დაუძახა მუქარით ძურწიამ.

— ახლო არ მოხვიდე, თორე თოფი მაქ, თოფი, გესვრი.

ხმაზე იცნეს:

— ჩვენი თემის მილიციის უფროსია,—უთხრა კურკაჭამ ძურწიას.

— ის არი!—დაამტკიცა იმანაც.

— მაშ მართლა თოფი გაქ!—დაუძახა ძურწიამ.

— ხუთიით გატენილი თოფი მაქ, ხუთიით! არ გაბედოთ!

— ნუ გეშინიან ნუ, მილიციის უფროსს რას გაუბედავთ.

— შენ რომელი ხარ!

— აი მოვალთ და გავეცნოთ ერთმანეთს.

სამივენი ერთად მივიდნენ.

— ნუ გეშინიანთ, ყველანი ქურდები ვართ და ერთმანეთის რაღათ უნდა გვეშინოდეს.

შევიდენ.

მოუსხდნენ ქვევრს.

— ავავსოთ კოკები და წავიდეთ.—სთქვა კურკამ.

— რა გეჩქარება, ბარემ ჩვენ აქ დავლიოთ, თორემ ეს ერთი კოკა ჩემ ბიჭებსაც არ ეყოფათ.

— რო მოგვასწრონ?

— მერე?

— მერე ისა, რო დაგვიჭერენ.

— შე კაი კაცო, ვილამ უნდა დაგვიჭიროს, როცა დამჭერი გვერდით გვიზის! აჰა, გადაჰკა ღვინო და ცოტახანს შემდეგ კიდეც შემოვძახოთ.

ფეშანგი.



მთვარის ამოსვლამდი,

# „გასერიოზულება"

დავწერე თუ არა რამოდენიმე წერილი „ტარტაროზში" და იუმორისტის სახელი მოვიხვეჭე,—მთელი ბათომის საზოგადოების თვალში შესამჩნევი კაცი გავხდი. ვინც მიცნობდა, მათი რა მოგახსენოთ,—მაგრამ ვინც არა, იმათ კი ჩემი ფასი არავინ ჰყავდათ.

დაწესებულებებში რომ შევდიოდი, ზოგს ჩემ დანახვისთანავე სიცილი აუტყდებოდა; ზოგი ჭარხალივით წითლდებოდა და ზოგი კი თავს ჩაღუნავდა.

კამპანიაში ყველა მე შემომჩერებოდა პირში, —„იქნებ რამე სასაცილო სთქვასო".

—:—

მაგრამ ეს გარემოება მე, პირიქით, მაბნევდა და აზრს მიკარგავდა. თუნდაც დაწერილი იუმორი წამეკითხა, იმასაც ლაზათი არ ექნებოდა. ერთხელ ისე დავიბენი ასეთ გარემოებით, რომ ჩემ წინ დადგმულ ჭიქაჩაიში შაქრის მაგიერ კარაქი ჩავაგდე და კოვზის მაგივრად დანით დაუწყე რევა.

მიუხედავად ასეთი შემთხვევებისა, მე მაინც იუმორისტის სახელი დავიმსახურე და საზოგადოების აზრი ჩემზე და ჩემს ნიჭზე უფრო გავზარდე.

— აი, ერთი მაგისი თავი მომცა,—ამბობდა ზოგიერთი „ჭკუიანი".

— მაგას რომ ჩავაგდებიე ჩემი ამბავი, მერე კრინტი არ დაუძრავს არავის.

— ბეჩა, გამაცანი ერთი მაგი ყმაწვილი! თედორე მინდა ჩავაგდებიო „ტარტაროზში!"

— მაგის ჩაგდებული, ძალიან ნაკლებად დაიძვრენს თავსო,—კამათობდენ ქალები და ცდილობდენ ჩემს გაცნობას.

მიუხედავად ასეთი დიდებისა, ბოლოს მაინც ვარჩიე თავი დამენებებია იუმორისტობისათვის და ხელი მოვკიდე სერიოზულობას.

—:—

— ერთი თუმანი მასესხე ჯამაგირების მიღებამდე!— დევედრიჯე ერთხელ ჩემს ნაცნობ ილიკოს.

— აა, ხა, ხა, ხა.—მოიკიდა მუცელზე ხელი და იმდენი იცინა, რომ წყალი დამჭირდა მის მოსაბრუნებლად.—ხო, ხო, ხო, ხო, ხო... რა დალოუპული იუმორისტი ხარ შე ოხერო!

—ილიკო, არ გეხუმრები! თუ ძმა ხარ, ცოლს აბორტი მინდა გავაკეთებიო, ექიმი თუმანს მთხოვს და მასესხე შენი ჭირიმე.—შევეხვეწე ისევ, როცა სიცილი მოათავა:

— უიმე დედაია!— დაიძახა მან, მაგიდაზე გაგორდა და სიცილით სული ვეღარ მოითქვა.

— მოკვდება ეს ოჯაქორი!—ვიფიქრე და მივატოვე.

ფული, რომ ვერსად ვიშოვე იმის მიზეზია, რომ ახლად შეძენილი პატარა ბიჭი ღამეებს გვათენებიებს შეუწყვეტელი ტირილით.

— დაგექცა ოჯახი, ილიკო ყაყიაშვილო, თუ გესესხებია მაშინ თუმანი.—ვწყევლი ილიკოს ყოველ წუთში.

არ გასულა იმის შემდეგ დიდი ხანი, რომ მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარის კაბინეტში შევედი.

— რას გვეტყვი ახალს, პარმენ?—გაცინებით მითხრა მან და ხელი გამომიწია ჩამოსართმევად.

— მომხედა ღმერთმა,—ვიფიქრე მე.—ეტყობა კარგ ხასიათზეა; ალბად ბანკს სესხი მიუცია და საქონელი შეუძენია. სწორედ კარგ დროს მოვსულვარ.

— დაბრძანდი, დაბრძანდი!— ზრდილობიანად მითხრა და სკამზე მიმითითა.

— დასაჯდომათ სად მცალია,—შენი ჭირიმე; ჩემს ადგილას დაჯდომა კი არა, ცხენივით უნდა ვჭიანობდე.

— ხა, ხა, ხა, ხა, —ჩაიხითხითა მან.—რა მოგივიდა კაცო?

— რა უნდა მომსვლოდა, შენი ჭირიმე; ზამთარი კარზე მომადგა, სოფლიდან სტუმრებმა იწყეს მოსვლა; აქეთ—სამსახურში მიჭიჩავებენ; იქით—კრებებზე მწივავენ; აქეთ—ბებია ჩემი ავად გამხდარა და „სეკარის სითხის" გაგზავნას მთხოვს; იქით—ძმას ცოლის მოყვანა მო-



მთვარის ამოსვლის შემდეგ

სურვებია; აქეთ—ჩემს ცოლს შვილი შეძენია, აი ამდენი სული...

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა,—ჩაიკეცა სავარძელში და ისე მაგრად დაუწყო თავით მაგიდას ბრახუნი, რომ ყველა თანამშრომლები კაბინეტში შემოცვივნდნენ. ზოგი მე მიყურებდა და ზოგი სიცილისაგან აცრემლებულ გამგეს.

მისი სიცილი და ჩემი გაოცებული სახის გამომეტყველება საკმაო შეიქნა სხვებისათვისაც სიცილის დასაწყებად და ყველა ახითხითდა. მარტო მე ვიყავი გაჩერებული და უცქეროდი ხან ერთსა და ხან მეორეს.

როგორც იქნა დამშვიდდა კოოპერაცია და მეც დავიწყე:

— დიახ, ბატონო გიორგი, ამდენი სული ჩემს კისერზე დაჯდა. ყველაფერს რომ გაუძლო, ტანსაცმელი ვერ ჩამიცვია და ამიტომ მოვედი თქვენთან; იქნებ ნისიათ რამოდენიმე მილიმეტრი ფანელი...

— უ-ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხი, ხი, ხე, ხე, ხე.—ახრიალდა ისევ ყველა ჩემს ამ სიტყვებზე. ერთხანს უყურე; ბოლოს მეც ამიტყდა სიცილი და გარედ გამოვედი.

— ოხ, რა იუმორისტია და ხუმარა.—ჩაილაპარაკა გამგემ და შუბლზე ხელი გაისვა.

—:—

ადამიანი ქვა არ არის და არც მე ვარ რკინის რომ ყველაფერს გაუძლო. ერთ წელიწადს კლუბში სამსახურს ნუ კი ეხუმრები და ისიც ისეთ კლუბში, სადაც მეტყავეთა კავშირის წევრები თუ შედიან და ისიც ბათომლები. ხალხი, ხალხია ყველა. მაგრამ ისინი კი სულ სხვანაირი. არ ვიცი, მეტყავეები იმათ იმიტომ ქვიათ, რომ ყველაფერს ტყავი გააძრონ; თუ რატომ. მაგრამ შემოვლენ თუ არა,—ჰერიჰა,—შეიქნება სტვენა, სკამები გაუძლებს, კედლები, ჭერი თუ სხვა რამე?! ისე აურევენ ყველაფერს, რომ ვერაფერს გამოიცნობ რა ნივთია.

—:—

ბაზარში ჩემს ჯიბეში სხვისი ხელი აღმოვაჩინე და მაშინვე იქვე მილიციელს მოვახსენე:

— ამხანაგო მილიციელო, ამ მოქალაქემ ხელი ჩემს ჯიბეში ჩაჰყო, რითაც გააუპატიურა ის!—მიეყრდნო მილიციელი ბოძს და მორთო ისტერიული ხარხარი. „ხელების პატრონი“ (ჯიბგირი) კი სადღაც გაჰქრა.

ყველა კომისრებს ზეპირად ვიცნობ და ამიტომ რაიონში გავიქეცი მილიციელის მოქმედების შესახებ მოსახსენებლად.

— არა, ერთი თუ ძმა ხარ მითხარი, რა ეკადრება, ისეთ მილიციელს, რომელიც ქურდს არ დაიჭერს?!— ვუთხარი მე და მოყევი ჩემი ამბავი. მიუხედავად იმისა, რომ სიცილით კვდებოდა,—უბრძანა მორიგეს აღნიშნულ მილიციელის მოყვანა.

— მე მეგონა ხუმრობდა, ამხანაგო კომისარო, მაგი და მე სიცილი ამიტყდა. ხომ იცით მაგი „ტარტაროზის“ თანამშრომელია. ყოველთვის ხუმრობს მგონია და მაგის ლაპარაკის დროს მეცინება; ამიტომ არ დაუჯერე. — უთხრა მილიციელმა და გავიდა.

— მართალია მილიციელი—სთქვა ბეჯითი კილოთი კომისარმა.

— რითია მართალი?

— მით, რომ გაეცნა და ქურდი გაიპარა.

— მერმე რა ჰქონდა სასაცილო მაგ ოჯახქორს?!

— ის რომ,—შენი სახე და ლაპარაკი სერიოზული არაა და ის აცინებს კაცს.

— თქვენ ოჯახ დასაქცევებო, ოცი წელიწადია ცოლთან ვცხოვრობ; აუარებელი შვილები მყავს; ყველა რომ თავს მოიყრის, იერუსალიმის „ბეჟენცები“ გეგონება,—მაგრამ ჩემი ლაპარაკით არა დროს არ გაუცინიათ. ჩემმა ცოლმა ტვინი ამომჭამა:—უგულო ხარ, კაცს ვერ გაამხიარულებ“-ო. და თქვე რა თქვენი ჯანდაბა გაცინებთ?!—შევუკურთხე ყველას და სახლში წამოვედი.

ამგვარად: ქვეყანამ ხუმარა და მატყუარათ ჩამთვალა და ჩემში სერიოზულობა ვერ ნახა. მე გადავწყვიტე გავსერიოზულდე.

ბასტა ყველაფერი; ამიერიდან, არც „ტარტაროზი“, არც გაზეთი და ფელეტონი.... ჰ. ოზოლი.



# ჩემი მგზავრობა

ხუთშაბათი მზიანი დღე იყო.

გურნის თემისკენ გავემგზავრე.

ჩვენი თემის აღმასკომის თავმჯდომარეს—ბუხაიძეს გზები კონსტანტინე მორჩაძის ქილებივით თეთრი კენჭებით მოეკაჭკაჭებია. ბევრი ვლოცე სანამ ს. ნაძვის ბოლომდე მივიდოდი. მაგრამ იქ ლოცა დამავიწყდა და ისევ წყევლას მოუსვი ხელი.

შუა გზაზე ერთბაშათ გადავარდი სამ არშინიან ტალახით სავსე ხრამში. მოუსვი ხელი, ცურვას, მალე ჩოხის სახელოები ტალახის ამომევსო და შელოცვილ ვირივით გამაშეშა, მოვრთე ყვირილი. მოვადრა გლეხები და ტალახიდან ძლივს-ღა ამომაძვრეს. გაუდექი გზას.

გურნის თემაღმასკომს რომ მიუახლოვდი, კარებიდან აღმასკომის თავმჯდომარე გოჩელაშვილმა გამოიქყიტა და იქვე ამხანაგებს წასჩურჩულა:

— არიქა „ხუთშაბათელა“ მოდის, ტარტაროზის მასალას ეძებს, არაფელი გვინახოს, თორემ თომას ჯორივით გაგვჭიმავს; „მომეცით ცოცხი“. შევესწარი აღმასკომის ზარალს, რომ წმენდავდა, მოუსხვა ცოცხი თავის მდივანს ს. ბაბუხადიას და ნაგავში გახვია.

— რას შვრები, ვერა მხედავ!?—უთხრა სევერიანემ.

— რომ გხედავ, სწორეთ იმიტომ მინდა დაგმალო; ხომ ხედავ მაწანწალა „ხუთშაბათელა“ მოვიდა. ტარტაროზში გაგჭიმავს; „მუშა“-ში ქე იყავი, მარა არ გაკმარეს. შეოჯახდასაქცევო, პარტიულ კაცს რამ გამოგილაყა ისე თავი, რომ საყდარში ჯვარი დაიწერე?! ტყიბულელი მღვდელ ნიქაუტაძე რომ მოგეყვანა, იგი სახლში დაგწერდა ჯვარს.

,— მიშველე, მიშველე! დამმალეთ; თუნდაც საღორეში, შემდევი არ ვჩივი!..

ნაცნობობა გამახსენდა, ამ საქმეც გვერდი ავუხვიე, სევერიანი ტარტაროზისათვის აღარ გავიმეტე. აქედან სოფ. სოჩხეთში ამოვყავი თავი. მღვდელმა ნიკო ბეშკენაძემ რომ დამინახა, კოოპერატიის დუქნისკენ მოქუსლა.

— არიქა, მიშველეთ, დამმალეთ, „ხუთშაბათელა“ „ტარტაროზში“ ჩამაგდებს! არ უთხრათ, რომ მე ინვალიდს ეზო-მიწა წავართვი; არ უთხრათ ჩემი არაფერიო!

აბა, მე რა მენაღვლება ნიკო ხუცესმა სოჩხეთლები აცხონოს მაგრათა-მეთქი?! ამასაც ვუგვერდე და ხრესილში მივპრაკუნდი ევდოკიმეს ჯორივით.

სადილის საჭმელათ ერასტი ქარქაშაძის სამიკიტნოში შევრგავი თავი.

— ერთი ბორში, ერთი ბოთლი ღვინო!—შიმშილით კბილებ-აძაგძაგებული მივაძახე.

— სსსუ-ჩას!— ენა მოჩლექით მიპასუხა და ორი ბოთლი ძმარი და ერთი პორცია ვირთხის ხარჩო მომიტანა.

— კაცო, ღვინოს ჰყიდი, თუ ძმარს?—შევეკითხე.

— პატენთი არ ამიღია ღვინის და ამიტომ ძმარს ღვინოთ ვყიდი!

ავდექი და ისევ რაჟდენ ობოლაძის სამიკიტნოში შევსძვერი. სწორეთ კარგ შავ ღვინოს უჭინჭილებდი და სოუზს მივრთმევდი, რომ ვიღაც ოჯაქორმა ერთი ხარი, ერთი კამეჩი და ერთიც ცხენი სამიკიტნოში შამოაჯირითა და გაძახოდა:

— ჰახ, ჰახ!, რა საქონლებია! ვის გინდა იყიდოთ!?.

ხარმა კუდი შემოიქნია და ყურის ძირებში ისე გამარტყა, რომ ეკრასტის-სეული ძმარი კინაღამ ცხვირიდან წამადინა.

— კაცო, აქ სამიკიტნოა თუ „იარმარკა“?—შევეკითხე დახლიდარ რაჟდენს.

— ასეა, „იარმარკა“, ხან ჩვენი ჩავაჭრო დუქნების წინ არის, ხან შუა ჩემს დუქანში!!—მითხრა მან.

ყურიძირებ აწითლებული და ცხვირმოქცეული მინა ქარქაშაძის სამიკიტნოში შევედი და მივაძახე მოეტანა ჩემთვის სადილი.

— არ შემიძლია სწორეთ; ახლა აქანე ჯოგს შემოიყვანებენ, დღეს „იარმარკობაა“ და თუ ძმა ხარ, ხვალ მოდი სადილის საჭმელათ!

ისევ ჩემ მეგობარ ალექსანდრე გვენეტაძეს მივაშურე, სადღაც სადგურის უკან.

— კაცო, ზევიდან აქ რატომ გადმობარგდი?!

— სვაიებზე თუ დავდგამდი მაღლა დუქანს არ ვიცი, თორემ ძირს „მეიარმარკე“ ხალხის საქონლები არ მასვენებდენ.

— მილიცია რას შობა? წესიერებას რატომ არ იცავს?

— ბოშო, რომელი მილიციაა, რომ ესაკია მხეიძეს და იოსებ გვეტაძეს თავი გაართვას!

„ხუთშაბათელა“.

# სად. ნატანები

პირველ ყოვლისა შემოვიარე,
ჯერ რკინისგზისა მე აღგილკომი;
სხვებზედ ზრუნვა დავიწყებია;
თვისთვის უხვად აქვთ მჭადი და ლომი
ღამეთ სადგურში სანათლე ჰქრება,
და ხალხი რჩება დიდხანს ბნელოში!
ჟურნალისა და გაზეთის ნაცვლად;
ნაგავი ჰყრია სამკითხველოში.
ეხლა მეორეთ მოვინახულეთ,
ეს „კრედიტნოე ობშესტვო“ ჩვენი!
(მასთან ბლომად აქვს მას ტყემლის წვენი).
„ტყემალს მივიღებთ, დაამზადებთო“,
ხალხმა იდინა სიმწრისა ოფლი;
რომ მოუტანეს,—ეუბნებიან:
„ვეღარ მივიღებთ, არა გვაქვს ბოთლი“,
ეს ბანკის გამგე ბიჭი ვარლამი,
(პიროვნება ხომ ერთობ დიდია),
ოღონდა ჰქონდეს კარგი ცხოვრება,
და სხვები კი მას ფეხებზე ჰკიდია.
ეხლა ვესტუმროთ სადგურის უფროსს
და წავუკითხოთ იმას ლექცია,
რომ სამუდამოთ დაჰგმოს თავიდან
მის საყვარელი მან პროტექცია.
კავშირს მისწერა—აღარ მინდაო,
ხელში აილო მანვე კალამი;
თავის მოკეთეს ალაგი მისცა,
და სალაროდან მოხსნა ვარლამი.
ასეთებს, ვგონებ, ტარტაროზ ჩემო,
ყველას სჭირია შენი ჩანგალი,
ერთი გვესტუმრე, ჩამოუაროთ,
დავაწყებინოთ იმათ კანკალი.

„ტრიო“.

# ჭიათურა

იროდიონსა ალბათ თქვენც
იცნობთ, (მე ასე მგონია).
ვეჭვობ ამ სიზარმაცითა
მან არ გასცუროს ფონია!
ხომ ხედავს, რომ ეს ქუჩები
ნაგვით სავსე და მყრალია?
რად არა ზრუნავს ამაზე
სთქვას მაინც ვისი ბრალია?!
ეხლა მსურს კომუნალურის
ჩუმათ შევაღო კარია.
და ვინახულო მე გორა
სახე დალრეჯილ-მწყრალია.
მსურს ვკითხო ამ სიბნელეში
ქალაქი რათა ყავსაო?
თვით თუ ვერ აგნებს საქმესა,
ქემაინც ჰკითხოს სხვასაო.
ეხლა კოლიას ვესტუმროთ,
დათიკოს უნცროს ძმასაო,—
რა რიგ უქებენ სიმთვრალეს,
ქეიფს და მუდამ სმასაო.
(მაგრამ მე ამას ვინ მკითხავს
ან რათ ვიწუხებ თავსაო!
მანაც ხომ იცის, რა უთხრა
ერთხელ კაჭმაჭმა ყვავსაო!).

ტიტიკო გუბელი.

# საკითხი ცხვირის წინ




არ მაქვს ფული, არცა შეშა,—
მე სიცივემ გამაშეშა.

# „ქეიფობა“

### (საწირე—ქუთ. მაზრა)

რატო არ გოუხმა იმ ჩემს დედაკაცს ენის კლიტე და რატო არ ჩოუარდა ის ჩასავარდნი და დასადუმებელი ენა, როცა ის შემომიჩნდა და აღარ მომასვენა. გეეგო, რომ კომპერატიაში რაცხა ფართალი მოსულაო და აღარ მომასვენა:—გინდა თუ არა, წადი და მიყიდე ერთი საკაბეო!

— ბოშო, ხომ არ გედეირიე? საწირეს კომპერატიაში როდის ჩამოსულა რამე რომ ახლა ჩამევიდეოდა?—ვეუბნები, მარა არმომიკვდეს თქვენი თავი—ვერაფლით ველარ გადავათქმევიე.

ავდექი და წევედი. თანაც, ცოტა არ იყოს, სიცივეც ქე იყო და შეუხვიე ვანია კუპატაძის დუქანში გასათბობათ. (ვაი, მისი ოჯახი დააქცია ღმერთმა და წმინდა გიორგიმ ორივემ). გევრხედე და შამევიდა კიდო ჩემი მეზობლები ერთი ორი კაცი. ცოტა არ იყოს, სიცივე იყო და ქე ვხუხეთ თითო სტაქანი ოტკა. მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, როგორც იცი ვანიას ენის ამბავი: თითოს მეორე მოყვა, მეორეს მესამე და კარგა გვარიანი ქეიფობა როგორც იცით, ქეიფობას „პატარა ბრავალქამიერიც“ მოყვა. გევიხედე და შემოვიდა მილიციონერი; ჯერ ჩვენთან მევიდა, და ერთი თუ ორი სტაქანი ოტკა იმასაც ვახუხვიეთ; მერე ვანიას გამოკითხა:

— რეიზა ასუმ ამ ხალხს ოტკას აქანე? (იმ ოჯახ ამოსაბდღვნელ ვანიას თურმე ღვინის პატენტი არა აქვს).

— იმე შე კაცო!—უთხრა ვანიამ—ესენი ჩემი მოყვარეებია! ეს: მიუთითა ჩემზე,—იმითია მოყვარე, რომ ბაბუა მაგისი, აცხონა ღმერთმა, ბაბუა ჩემს იცნობდა, და ერთმანეთს სულ ქართულად ელაპარაკებოდენ. ეს კი,—მიუთითა მეორეზე,—იმითია, რომ ბაბუა მაგისას და ბაბუა ჩემს ორივეს თეთრი წვერები ჰქონდა. ეს მესამე კიჰო ესეც მოყვარეა და ამისთანა კაი მოყვრებს პატივი რომ არ სცე, ხომ არ შეიძლება?! მაგენს მე ოტკას, ისე ვასუმ რომ ფულს არ ვახდევიებ!

მილიციონერი წევიდა. ვიფიქრე—მართალია. ბაბუა ჩემი (ვანია მიწიოს ღმერთმა იმას) მართლა ქართულად ლაპარაკობდენ (მიტომ რომ რუსული არ იცოდენ) ეხ ალბათ მოყვრები ვყოფილვართ! იმე ეს ოჯახ აშენებული ფულს თვარ მახდევინებს, რა მეწაღვლება, და ვინც მიდი-მოდიოდა გზაში სუყველას დოუძახე, დავპატიჟე და მისთანა ქეიფი გავმართეთ, რომ შენგან მოწონებული. მერე სახლში წაგვიყვანა,—აქანე დამიჭირავენო, და იქ „ბალკონში“ დაგვაჯინა. დევიწყეთ ქეიფობა და რამდი შუა ღამე არ შეიქნა, მანამდი სახლში წასვლაზე აღარ მიფიქრია. მერე ავდექი და მაინძელი დავლოცე:

— ეს ღმერთმა გოუმარჯოს ვანოს, ადღეინძელოს და კარგათ ამყოფოს. ჩვენთვისაც მეეცეს ღმერთს იმდენი შეძლება, რომ სამაგიერო პატივისცემა გადაგვეხადოს!—ვხუხე, გადავკარი და დავაპირე წამოსვლა, მარა ვინ გიშობს!

— ჯერ ანგარიში გაასწორე და მერე მიბრძანდი!—მეუბნება ვანო.

— რისი ანგარიში ბოშო? შენ ჭკუაზე შეპრეტილი ხომ არ ხარ? წეხანა არ უთხარი მილიციონს—ჩემი სტუმრებია, მე დავპატიჟე და ფულს არ ვახდევიეფო?! ეგრე იციენ თქვენში სტუმრების დაპატიჟება?!

— შენ ბევრს ნუ ყიყინებ; ჩქარა მოიტა ფული.

წევიდა, მეიტანა ჩოთქი, გაკრა-გამოკრა ხელი და გამეიყვანა კაი 9 მან. 60 კაპ. მომივიდა გული: ფულს თუ მახდევიებდი, ეს ოჯახგასატიალებელი ამდენ ხალხს მაინც აღარ დოუძახებდი—მეთქი. ამევიღე და მივეცი ჯაკალი 5 მანეთიანი (მეტი არ მქონდა) და რადგანაც ფული აღარ აღმომაჩნდა მეტი (ოზისკი დამარტყა, მარა რაც არაფელი მქონდა, რას ნახავდა?) 4 მანეთ და 60 კაპ. მაგიორათ 15 მანეთიან ხელწერილზე მომაწერია ხელი გამომისტუმრა.

მივალ და ვფიქრობ გზაში:

— რა უთხრა პელაგიას რომ მივალ? იმან ხუთი მანეთი კომპერატიაში გამომატანა, თვარა შენ ვანიასთან შედი და იქინე იქეიფეო იმისთვის კი არა!?

მიველი სახლში. გეიგო თუ არა ჩემმა ქალმა ჩემი ამბავი, ერთი ორი კარგა ლაზათიანათ წამკრა-წამომკრა თავში, მერე გამომაგდო გარეთ და შემპირდა სანამ იმ ხუთ მანეთს არ მივიტან, მანამდი სახლში არ შემოგიშობო! მთვრალი ვიყავი და მისი ჯავრი სულ არ მქონია მე. წამოვწევი თურმე ტალახში (მაშინ ჩემი თავი „ზუმბულში“ მეგონა) და გემრიელად დავიძინე ვაი ისე გემრიელად იძინა ვანო კუპატაძემ, როგორც მე გემრიელათ მიძინია. თურმე გავციებულიყავი და დილას, გაციებული ვენახე ხალხს. ეხლა ქე ვაგდივარ აგერ ლოგინში, მარა თუ ღმერთმა ინება და მოვრჩი, ის ვანიაა თუ რაცხა მისი ოჯახის დაფსება, მაინც ვერ გადამირჩება.

**დონ-გან.**

# „წკიპურტები"

**„ანგარიში ჩააბარა"**

**ცოლი:** — კიდევ დასთვერი ნადირო, მხეცო? რა უყავი ფულები? — ჩქარა ანგარიში ჩამაბარე თორემ...

**ქმარი:** — ანგარიში გნებავს? ინებე, ერთი მანეთი იქით... მანეთი აქეთ, — ეს შენი ორი მანეთი. შენთვის საკაბის ყიდვა მინდოდა, — თუმანი დამიფასეს... თუმანი და ორი მანეთი, ხომ თორმეტ მანეთს იზამს!.. ესეც შენი ანგარიში... სხვა რაღა გინდა?

**„ქეიფში"**

**ერთი მთვრალი (მეორეს):** — ხარ თუ არა ჩემი მეგობარი?

**მეორე:** — რა საკითხავია!

**პირველი:** — მაშ მითხარი რა გვარი ხარ.

**„უკმაყოფილო"**

— როგორ ჩაიარა თქვენმა წვეულებამ?

— ჩინებულად, თითქმის არავინ მოსულა; ყველაფერი დარჩა და მე და ჩემს ცოლს ერთ თვეს გვეყოფა.

**„მთხოვნელი"**

— ცეცხლმა გადამიბუგა მთელი ქონება, მათხოვრობაღა დამრჩენია ეხლა...

— კარგი, მაგრამ ხანძარის გაჩენის შესახებ მოწმობა ხომ გაქვთ? წარმოადგინეთ.

— მქონდა, მაგრამ ისიც სხვა ქონებასთან ერთად დამეწვა.

ლუკუმი.

## ჩამოსული მეგობარი

ამას წინად თბილისიდან მეწვია ამხანაგი, რომელსაც ცოტა საქმე ჰქონდა ზესტაფონის ერთ-ერთ დაწესებულებაში.

სხვათა შორის მას ძალიან აინტერესებდა ზესტაფონის გაცნობა და ამიტომ პირველადვე გამიმართა საუბარი:

— ხვალ, თუ ძმა ხარ, ტეხნიკუმში წამიყვანე, აქაური მოწაფეების ნახვა მინდა!

— მოწაფეთა ნახვა თუ გინდა, ამ საღამოთიც შეიძლება!

— როგორ შეიძლება თითოეულ მოწაფეთა ბინაზე სიარული და ისე ნახვა? არა, ეგ შეუძლებელია.

— ა, ბინებზე რა გინდა! წამო ამ საღამოთი, ყველა ერთად გაჩვენო,— —ან იქნებიან ბონდზე ანდა, „ბიქსის" სათამაშოში.

— ნუ თუ მოწაფეები „ბიქსს" თამაშობენ და არ უშლიან?

— ეხ, ძმაო, მოწაფეებს რომ „ბიქსის" თამაში დაუშალონ, მერმე ხომ უნდა დაკეტონ ეგ სათამაშო! მთავარ შემოსავალს მოწაფეები აძლევენ. ერთს აღარ გააჩნია წიგნი. წიგნის ფულს „ბიქსში" აგებენ.

— როგორც გატყობ, შენც ხშირად დადიხარ ალბად!?

— არც ისე ხშირად; ან მის შემდეგ როგორ ღა შევალ, რაც ერთხელ შევედი და ლატარეია ვითამაშე, ვატრიალე, ვატრიალე, იმანაც იძახა: „ცარიელია, ცარიელია". სანამ, მართლაც ჯიბე გამოცარიელებული არ გამომისტუმრა გარედ".

ამ ბაასით დავბრუნდით სახლში.

მეორე დღეს წავედით იმ დაწესებულებაში, სადაც ჩემ სტუმარს საქმე ჰქონდა. კარებზე აწერია: „დარაჯის დაუკითხავად შემოსვლა აკრძალულია". ჩვენც დაუწყეთ დარაჯს ცდა (რადგან იგი არსად სჩანდა). ვუცადეთ მანამ, სანამ არ მოგვშივდა. შემდეგ ერთ „გალსტუკიან" ვაჟს მივარდით. ჩვენ ვიფიქრეთ— ალბად აქ დარაჯი ვინმე „დიდი კაცია", რომ მის დაუკითხავად არავის უშვებენ - თქო. ეს კაცი კი კარგა ხანი იჯდა იქ; (თურმე ვიღაცას უცდიდა).

— ამხანაგო, თქვენ ხართ დარაჯი? — შეეკითხა ჩემი მხლებელი.

— რას ამბობ? ხომ არ გინდათ ეხლავე დავაჰქერინო თქვენი ათვი? როგორ მიბედავთ.... აჰ!?

— აბა, ვინ არის ეს დარაჯი, რომლის დაუკითხავათ შიგ ვერ შევსულვართ?

— რის დარაჯის კითხვა?! შეიძლება დარაჯი დღეს სულ არ მოვიდეს! აქ ვერ ხედავთ ხალხი რომ შედის?! თქვენც შედით, მაგრამ თქვენ აქ საქმისთვის კი არა, ხულიგნობისთვის ხართ მოსული, ხომ ვისმეს შეურაცხყოფა მიაყენოთ. მეორეთ აღარ გაბედოთ ასეთი სიტუტუცეთორემ...

გადავრჩით. ხათაბალას კინაღამ გადავეკიდეთ. თუ იმ განცხადებას არაფერი გავლენა ჰქონდა, რაზე გამოაკრეს!? ჩვენ კი შეცდომაში შეგვიყვანა და „პატიოსანი" კაცის თავმოყვარეობა შეგვალახვია — გვაწონებია დარაჯი.

ჰგუნტი.

## ქრონიკა

— **თავის მოწამვლა.** გუშინ ღამის 11 საათზე სტრიხინით თავი მოიწამლა სრულიად ახალგაზრდა ვირთხამ — (კოლანოვის ქ. № 153). იგი გადაგზავნილია საავადმყოფოში. მოწამვლის მიზეზი გამოურკვეველია.

— **დაჭრა.** 23 ნოემბერს სოფ. გოდოუთში იპოლიტე ჭამიაშვილმა თავის ვენახში ყარაულობის დროს თოფით დაჭრა ვენახში გადაპარული კურდღელი.

**ტრამვაის რონოდაში.**— უცნობ ჰოქალაქეს გულის ჯიბიდან ამოაცალეს ტრამვაის ბილეთის ნახევი (რადგან ჯიბეში სხვა არაფერი გააჩნდა).

— **იმავე დღეს,** თავის დახრჩობას გადაარჩინეს **14 წლის ბავში.** ბავშს გარდა **სტუდენტობის მოწმობისა,** არაფერი არ აღმოაჩნდა.

**ნაჯახით სიკვდილი.** 22 ნოემბერს— სოფ. ოფშკვითში ეპიფანე შეყრილაძეს მოუვიდა სტუმრები. ღამის 10 ნახ. საათზე შეყრილაძე ორ სტუმართან ერთად გავიდა ეზოში. სტუმრების დახმარებით შეიპყრო ერთი მსუქანი ვარია, რომელიც ხეზე იყო დაბუდრებული, ორმა კაცმა ძალით დაადებინა თავი ხის ნაჭერზე და ნაჯახი შემოარტყეს კისერზე. დაჭრილი იქვე გარდაიცვალა. ბოროტმომქმედებმა მისი გვამი დამალეს თავიანთ მუცელში.

— **ქურდობა.** გუშინ ღამით ღია ფანჯრიდან ს. ფ—ს სახლში გადაძვრა კატა და სამზარეულოდან მოიპარა ზუთხის დიდი ნაჭერი. კატის შესაპყრობად მიღებულია ზომები.

— **გვამის პოვნა.** 24 ნოემბერს მტკვრის მარცხენა ნაპირზე იპოვეს უცნობი ძაღლის გვამი. როგორც გამოირკვა 23 ნოემბერს ძაღლი გადავარდნილა ვერის ხიდიდან —დახრჩობის მიზნით, მიზეზები დახრჩობისა ოჯახური უსიამოვნებაა.

— **დაჯახება.** 23 ნოემბერს, დღის 2 საათზე და 55 წუთზე ელბაქიძის დაღმართზე ტრამვაის რონოდა № 1787 დაეჯახა ჭიანჭველას, რომელიც ერთი ნაპირიდან მეორეზე გადადიოდა. ჭიანჭველას, დაზიანებული აქვს იდაყვი და მოგლეჯილი აქვს ორივე ყური. როგორც დადასტურდა —დაჯახება გამოწვეული იყო ვატმანის დაუდევრობით.

**გაუპატიურება.** — 23 ნოემბერს კახეთის ქუჩით ღამის ორ საათზე შინ მიმავალ **პოპსიკ ძაღლაძეშ, მურა მეძებროვი, ყურშა მწევერიანცი და მილორდ ყეფიაშვილი** ხულიგნები უტიფრად გამოეცნაურენ ძ. ძაღლოეკას და მის დაუკითხავათ მიაცილებდენ სახლში. როგორც კი ბნელ გადასახოვში გადაუხვია ძ. ძაღლოევმა ხულიგნებმა იხელთეს დრო და ეცენ მას—გაუპატიურების მიზნით..

# ბეწვის ხიდი

ტყიბულის ახალ მაღაროების და საცხოვრებელ ახალ შენობის შორის არის ძველი, დანგრეული ხიდი, რომელზიდაც გავლა სახიფათოა.

(„კოკონა").



**ერთი მუშა** (მეორეს):— რომ საიქიო არსებობდეს. ჩვენ აუცილებლათ სამოთხეში მოვხვდებოდით, რადგან ბეწვის ხიდი ამ ჩვენს ხიდზე უფრო სახიფათო არ იქნება და!

---

## პროვინციელ თანამშრომელთა საყურადღებოთ

გამოსაგზავნი მასალები აუცილებლათ უნდა შეეხებოდეს ადგილობრივ ცხოვრებას და უნდა იყოს გამოხატული სოფლის ჭირ-ვარამისა, ესე იგი უნდა აშუქებდენ თანამედროვე საკითხებს, რომლებითაც დაინტერესებულია მოსახლეობა.

წერილები **აუცილებლათ** უნდა იყოს დაწერილი ქაღალდის **ცალ გვერდზე**, გარკვეული ხელით და სტრიქონების ერთმანეთზე დაშორებით. წერილის ბოლოში ფსევდონომის ქვეშ—ავტორის ვინაობა და მისამართი.

უმარკო წერილებს რედაქცია არ იხსნის.

**ჟურ. „ტარტაროზი"-ს რედაქცია.**

---

# ჯოჯოხეთის კუთხე



### იცნობს თავის თავს!

**„მაბლონი"** თხოულობს, რომ მოქ. **ზამბახიძეს** (სადგ. ბაკურიანი) **ჭკუა ასწავლონ** იმისთვის, რომ მან მუშებს უბრძანა:

— **მომიტანეთ** (მომართვით), **წყალი და თივაო!** რას ერჩით ზამბახიძეს? კაცი თვითონ აფასებს თავის თავს ღირსეულათ **თივა** მოითხოვა. მაშასადამე (თივას რომელი ადამიანი სჭამს?). ჩვენ აღარაფერი დაგვრჩენია სათქმელი, რადგან თვითონ ლაპარაკობს თავის თავზე.

წყალიც იმიტომ მოითხოვა, რომ თივაზე ღვინოს ხომ არ სვამს არც ერთი არსება (ღვინო ხომ მარტო ადამიანის სასმელია). ესეც ერთი საბუთი, იმისა, რომ ზამბახიძეს თავზე სალი და უტყუარი წარმოდგენა ჰქონებია.

### „მიღწევა"

აწი ხომ ყველა დაიჯერებთ ჩვენს შეხედულებას, რომ ახალი გამოგონებები და მიღწევები ყველა დარგზე უფრო მედიცინაშია.

აი, კონკრეტიული ფაქტი:

**„ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტში** (ყოფ. მიხეილ საავადმყოფო) **ბაღლინჯოები ავადმყოფებს არ აძინებენ** (ალბად კბენენ. **ტარტაროზი**). **ადმინისტრაციას კი სძინავს, მიუხედავად იმისა, რომ ამ სურათს თვალით ხედავს".**

ასე სწერს: **ბ—ლი.**

საკვირველებაა სწორედ: რატომ ბაღლინჯოები ავადმყოფებს არ აძინებს, მაშინ როცა მძინარ ადმინისტრაციას

არ ალვიძებენ! აქ რალაც პროტექციას და მექთამეობას უნდა ჰქონდეს ადგილი, თორემ ვინ არ იცის, რომ ავადმყოფის სისხლს და ქონს (თუ კი ასეთი გააჩნია), სჯობია ჯანსაღ ადმინისტრაციის სისხლი და ქონი!?.

ეს ერთი.,

მეორე საკვირველება (და თუ გნებავთ—სასწაული) ის არის, რომ **„ადმინისტრაციას სძინავს, და მიუხედავად ამისა** (ძილისა), **ამ სურათს თვალით ხედავს“.**

აი, რა ყოჩაღი ადმინისტრაცია ყოფილა. კაცს სძინავს, მაგრამ მაინც ხედავს. ასე ყურადღებით ეკიდებიან მკურნალობის საქმეს ინსტიტუტში და „ბ—ლი“ მაინც უსაყვედურებს.,

ვაკმაყოფილებთ მოთხოვნილებას და ვათავსებთ:



**ავადმყოფი** (ბალლინჯოს):— **ჩემთან რა გინდა!? ისედაც არა მაქვს სისხლი! რალას მკბენ!? ვაი, დედააავ!**

**ბალლინჯო:—ექიმებმა სისხლის გალება გამოგიწერეს და ეს საქმე მე დამავალეს!**

## „იერიქონის საყვირი“,



— ნუ გარბიხართ, ნუ გეშინიათ! არაფერი არ მომხდარა!

— მაშ რაშია საქმე, რომ ხაშურის ცხრაწლედის შენობიდან ასეთი ყვირილი და გინება ისმის?—ეკითხებოდენ იქ მყოფნი „ტარტაროზი“-ს ადგილობრივ თანამშრომელს— **კიკოლიკოს** და შეშინებულნი გაქცევას და დამალვას აპირებდენ. მაგრამ კიკოლიკომ დაამშვიდა.

— ეს არის ცხრაწლედის გამგე—კაპანაძე. იგი უყვირის და აგინებს პარტსკოლის მასწავლებელს... ასე, რომ, თქვენ შეგიძლიათ დამშვიდებული იყოთ და აი ამ ლილინით განაგრძოთ ჩვენი გზა და საქმე:

პარტსკოლისა მასწავლებელს
ეოდოტემ შეუკურთხა.
სიბრაზისგან ალრიალდა
და სიტყვები ჰა, ეს უთხრა:
**„ვინ გაბედა აქ შემოსვლა?**
**ან ვინ მისცა ამის ნება?“**
კოლის გამგეს არ შეშვენის
სე ქცევა და გინება.

## თავისებურათ გაიგეს

ყველა დაწესებულებებში არსებობს საურთიერთო დამხმარე სალარო, რომლის დანიშნულება ყველა მუშა-მოსამსახურემ იცის.

მაგრამ სხვა გვარათ ესმის ეს ამბავი **ბათომის საყუდის დამხმარე სალაროს** ბიუროს, რომელშიაც შედიან: სალაროს თავმჯდომარე, წევრები და მდივანი (ქალი). ესენი თვითონ ინაწილებენ ფულს. აი, რას ამბობდენ თვითეული მათგანი თავის სხდომაზე:



**თავმჯდომარე: — სალაროს წარმოება არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ეს სხვებს ჰგონიათ! მაგრამ მე მაინც დლემდი მოვიყვანე. თვითეულ ჩვენგანს სესხათ გატანილი გვაქვს ხუთ-ხუთი თუმანი. მეტი ფული ჩვენს სალაროს არც გააჩნია. ამიტომ უსაფუძვლოა მუშა-მოსამსახურეების საყვედური იმის შესახებ, რომ ჩვენი სალარო მათ ფულს ვერ ასესხებს. (საიდან უნდა ვასესხოთ, როცა შიგ რაც იყო,,ჩვენ გვაქვს გატანილი!).**

**სალაროს მდივანი ქალი:— ვფიქრობ, რომ საქმეს არც მე ვაწარმოებდი ცუდათ,— დადგენილება იყო თუ არა, მაშინვე ორდერებს ცხლათ გიწერდით ყველას.**

**წევრები:—მუშაობა დამაკმაყოფილებლათ უნდა ჩაითვალოს. საურთიერთო დამხმარე სალარო ამართლებს თავის დანიშნულებას და მიზანს—ჩვენ ერთმანეთს ვეხმარებით.**

**თავმჯდომარე:— აწი სარევიზიო კომისიას თავიც უტეხია ამ სალაროზე.**

რა გასაკვირია, რომ სალარო ცარიელი იყოს, როცა ადამიანის თავებია ცარიელი.

# ცნობათა მიღება



„გორკი“-ს (სოფ. საწირე, ქუთაისის მაზრა): ტყვილათ უსაყვედურებთ სამკითხველოს მეთვალყურე ქალს.

სამკითხველოში არ არის
გაზეთი ერთი ცალია.
შიგ მეთვალყურეს ვერ ნახავთ,
არ ვიცით მისი კვალია....

ერთი გვითხარით—რა მოაცდევიებს ცარიელ სამკითხველოში მეთვალყურეს?! ალბად ამიტომაც სწყინდება სამკითხველოში და:

კარებს გაალებს და წავა,
საქმე ფეხებზე ჰკიდია.
ნუ თუ გაზეთის შეძენა
საქმე ეგზომათ დიდია?

მწარე კალამს (სტატისტიკური სამმართველო, კააკუფილება სექტორი): ვათავსებთ თქვენს მიერ გამოგზავნილ სურათს თავისივე წარწერით:

პომპოლიკს (ასკანა): ჰა, თქვენი გამოცანაც:

ახალ მოდის ქალია,
უყვარს აურ-ზაური;
სადაც წავა მას ყველგან
შეაქვს აურ-ზაური.
გაკვეთილის გაცდენა
მისთვის არაფერია.
ყმაწვილების გულს იგებს
ცეკვავს, როგორც ფერია.

ამას ყოველი ასკანელი მიხვდება!



**ადმინისტრატორი** (თანამშრომლებს):— **ხომ არ გცივათ?! ეს ფანჯრები რატომ დაგიღიათ?**

**თანამშრომლები:—ეს იმიტომ ეგებ რომ გარედან ცოტა სითბო შემოვიდეს, თორემ აქ ნამდვილი „ჩრდილოეთის პოლიუსია“.**

**ადმინისტრატორი:—ეს კარგი ხერხია... ამ ოთახის შეკეთება გვინდოდა, მაგრამ ხომ იცითი—ეკრეჟიმია... ძვირი დაგვიფასეს შეკეთება. არა უშავს,—გაზაფხულამდე როგორმე გასძელით და სამაგიეროთ ზაფხულში აქ ძალიან სიცხე იქნება.**

ჰა, მოვათავსეთ, მაგრამ იმედი არა გვაქვს, რომ თქვენ ამით მიზანს მიაღწევთ. საწყალი ეკრეჟიმი! ყველა მას აბრალებს ყოველგვარ ცოდვებს!

**„დევნილ სიძეს“.** ალბათ არ გამოგვადგა თქვენი მასალა და მიტომ!

**ეწერ-ბაშელს.** დაიბეჭდება, ხოლო ჯერ არა.

**დაფიქრებულს:**—დაფიქრებით თუ ამ წერილზე უკეთესი ვერაფერი დასწერეთ, მაშინ სერიოზული აქიმობა ყოფილა თქვენთვის საჭირო და მიმართეთ ნერვიულ საავადმყოფოს.

**ჭკუის კოლოფს:**—რათ გინდათ კოლოფი, თუ შიგ არაფერია?!

**მაკრინეს (ჭიათურა):**—გვწერთ, რომ ჭიათურის რკ.-გზის ხაზზე დიდი ნაკლი არის... მასალებს მოგაწვდით და დაგვიბეჭდეთ, თუმცალა შეიძლება ცოტა ნაკლი ჰქონდესო...

როცა თქვენი წერილი გადავიკითხეთ,—აღმოჩნდა პირიქით: ესე იგი თქვენს წერილს ჰქონდა დიდი ნაკლი იმით, რომ იგი ეხებოდა ჭიათურის რკ.-გზის ხაზის სრულიად უმნიშვნელო ნაკლს. ხუმრობს, ტარტაროზი კონდუქტორს ვერ აუკრძალავს, პირიქით, კიდეც მოუწონებს. ძაღლის დაკარგვაზე არ ღირს ამდენი ხლაფორთი!

**შაშო ბითურს** (ახალ-ციხე): მიუხედავად იმისა, რომ თქვენს ფსევდონომიდან ჩვენ არაფერი კარგის იმედი არა გვაქვს, მაინც გაცნობებთ, რომ მასალები უნდა შეეხებოდეს ადგილობრივ ცხოვრების ვითარებას და საჭირობოროტო თანამედროვე საკითხებს. ასეთივე ითქმის კარიკატურებზედაც.

**ოფოს** (ხაშური):— სხვა თემაზე ადგილობრივ ცხოვრებიდან მოგვაწოდეთ ნახატი.

**იანოს** (ამაღლება): თქვენი საპასუხო წერილი ასე თავდება:,

**ვინ გადმოგცა შენ ეს ცნობა**
**სინამდვილე თუ სიზმარი?**
**შენ მანდ სწერდი, მე კი აქ ვარ,—**
**უფრო ვიცი როგორც არი!**

ადგილობრივათ ყოფნა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადგილობრივათ მყოფს ყველაფერი ეცოდინება. ბევრი რამ არის ადგილობრივათ, მაგრამ.... ყოველ შემთხვევაში მაგის შესახებ ჩვენ კამათს ვერ გავხსნით. მოიწერეთ სხვა რამე.

**ფიშტოს** (ჭიათურა): ხელმოუწერელი წერილი არ დაიბეჭდება.

**№ 112-ს.** გვაძლევთ შეკითხვას: **„კაცს დავარტყი, მაგრამ იგიც არ დამირჩა უკაცრავათ და უფრო მაგრათ გამარტყა. მინდა სამაგიერო გადავუხადო. როგორ მოვიქცე“?**

ჩვენ რას გვეკითხებით! შეეკითხეთ თქვენს ზურგს, რადგან გასაჭირი ისევ მას დაადგება, და თუ იგი თანახმა იქნება, შეგიძლიათ სამაგიერო გადაუხადოთ. ჯერ-ჯერობით არ გირჩევთ; აცალეთ უწინდელ იარას მორჩენა; მერმეც მოესწრებით და გეყოფათ.

**ჭკუა-მხიარულს:** ჭკუა-მხიარულობა იმას არ ნიშნავს, რომ „ჭკუა-მხიარულს“ შეეძლოს სამხიარულო (იუმორისტული) წერილის დაწერა. პირიქით: ჭკუა-მხიარულობის გამო არის, რომ ვერც ერთი „ჭკუა-მხიარული“ ვერ დასწერს ვარგისიან სატარტაროზო წერილს.

ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ:

**თუმცა სიცხე არ არის.**
**თოვლი ჰყინავს „ვოზდუხს“**
**მაინც ამ ჩემს გოგრაში,**
**რაღაც ისევ მიდუღსა....**
**თუმცა დუღილი მუცელმა**
**ტვინზე ნაკლები არ იცის...**
**სჩანს მუცლიდან ავიდა,**
**მიტომ შვრება ხიც-ხიცს.**

ჩვენც მასე ვგონია. ვეთანხმებით თქვენს მოსაზრებას.

**ბალხაშს** (ზესტაფონი):—გვწერთ, რომ მკითხაობას ეწევა მასწავლებელი **გაიკი-ო.** კარგს იზამდით, რომ მისთვის მიგემართათ ამ წერილის შესახებ—დაიბეჭდებოდა თუ არა იგი. ალბად მკითხავი აუცილებლათ უარყოფით პასუხს მოგცემდა. ამგვარათ თქვენ გადაგირჩებოდათ საფოსტო მარკა (თუმცალა მკითხავი მეტს წაიღებდა თქვენგან; ასე რომ, თქვენ მაინც მოგებული რჩებით, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი წერილი არ დაიბეჭდა)..,

# „ახალი დირიჟორი“

მილიციელი ქუჩაში საგუშაგოზე უნდა იყოს მთელი ქუჩის დირიჟორი. სემაფორის სისტემით მოძრაობის მოწესრიგება უარყოფილ უნდა იქნას.

(„ზაკავტოპრომტორგი“-ს თავმჯდომარის ცურინოვის განცხადებიდან).




მილიციელი:—მოდი და ამ ჯოჯოხეთურ აურ-ზაურში დირიჟორობა გასწიე... აქ მე კი არა, ფალიაშვილიც ვერაფერს გახდება.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68